გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N32 (9283) 20 ნოემბერი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

უფასო პოლიტიკური რეკლამა

## ერთადერთი პასუხისმგებელნი ვიქნებით ჩვენ და არანაირი პოლიტიკური პარტიები

ქეთევან ჭელიძე

სახალხო მოძრაობამ ''არა ნაციზმს'' თავისი მორიგი ხალხმრავალი შეხვედრა 17 ივნისს ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გამართა. სცენიდან პირველად სამტრედიელებს რეჟისორმა გიგა ხაინდრავამ მიმართა. ხალხს ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი შეახსენა, დანაშაულებები, რომლებიც მათი მმართველობის დროს ხდებოდა. ისაუბრა თავის მიერ გადაღებულ სერიალ ''ჰეროკრატიაზე'' და ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ფილმი მხოლოდ რეალურ ფაქტებზეა დაფუძნებული. რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურსაც შეეხო და აღნიშნა: ''ძალიან ღირსეული ქალბატონია სალომე ზურაბიშვილი. იცოდეთ, რომ 28-ში ქართველი ხალხი მას აირჩევს. ერთადერთი პასუხისმგებელი ვიქნებით ჩვენ და არანაირი პოლიტიკური პარტიები. მინდა იცოდეთ, რომ ძალიან პატივცემული და სერიოზული ადამიანები არიან გაერთიანებული ამ მოძრაობაში. იმედი მაქვს, თქვენც გაერთიანდებით. ყველაზე ღირსეულებს ვთხოვთ, რომ მობრძანდეთ, რათა გამოცდილება, რომელიც გაგაჩნიათ, თქვენს საქართველოს სჭირდება. ასე იყო ყოველთვის, თემები, სოფლები ირჩევდა ყველაზე ღირსეულ ადამიანებს. ისინი უკეთ იტყვიან, ვინ ვინ არის.''

ტაშით შეეგებნენ სამტრედიელები დაჩი ცაგურიას, ''საქართველოს რკინიგზის'' საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს: ''ამ სცენაზე ბოლოს 25 წლის წინ ვიდექი, როცა ჩემი სკოლა ''კავეენს'' მართავდა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. აქ გაზრდილი ვარ, ამ სცენაზე, ამ დარბაზში მიჩხუბია, მიცეკვია, მიმღერია... დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს, რკინიგზელებს, სამტრედიელებს, ყველას, ვისთვისაც თავისუფლება ძვირფასია, რისთვისაც ჩვენ გავერთიანდით. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ადამიანები, რომლებიც თავიანთი მანიაკალური იდეებით იყვნენ ცნობილი, კვლავ ხელისუფლებაში აპირებენ მოსვლას. ნანახი გვაქვს, როგორ ცხოვრობდნენ ისინი, როგორ ურთიერთობდნენ, როგორ ელაპარაკებოდნენ მათ, ვისი რჩეულებიც იყვნენ. მე უამრავი პრეტენზია მაქვს ''ქართულ ოცნებასთან'', იმაზე მეტი, ვიდრე ამ ან რომელიმე სხვა დარბაზში შეკრებილ ადამიანებს აქვთ. ნაწყენი არ ვარ, შეურაცხყოფილი ვარ. როცა ყველაზე მეტად ნაწამები მიმიყვანეს სასამართლოში, ფეხებს რომ ვერ ვმართავდი და სისხლი გამდიოდა, მოსამართლე, რომელიც იქ იჯდა, ამ ხელისუფლებამ დააწინაურა. ამის გამო ვარ შეურაცხყოფილი, მაგრამ, რადგან ვიღაც მედროვე სადღაც გაძვრა და ადგილი დაიკავა, რა გავაკეთო, ისევ დავაბრუნო ყველა ის ადამიანი ხელისუფლებაში, ვინც შექმნა ეს გვრიტიშვილი, რომ შემდეგ სასამართლოში ყველა გვრიტიშვილი იყოს, ყველა პოლიციელი ისეთი ნაძირალა იყოს, როგორც 7 ნოემბერს და 26 მაისს იყვნენ. მე ჩემს ქვეყანას ფაშისტებს ხელში ვერ ჩავუგდებ. 2008 წელს მე ერთ-ერთი რეზერვისტი ვიყავი და მეთაურს ვერ ვპოულობდით, ისე გაიქცნენ გორიდან, ჩახოცეს იქ ჩვენი ბიჭები, ჩვენი მოსახლეობა. პროკურატურას მინდა მივმართო სამტრედიიდან, კარგად გვახსოვს ვანო მერაბიშვილის გამოსვლა ტელეეთერით, როცა მან საჯაროდ განაცხადა, 50 ათასი დოლარი შესთავაზა რუს გენერლებს გორში სტალინის ძეგლი რომ აეფეთქებინათ. რატომ ჩამოვარდა ის ისკანდერი შემდეგ სწორედ იქ, სადაც ძეგლის აფეთქება უნდოდა. დაკითხეთ ამისთვის! დიახ, ''ქართულ ოცნებასთანაც'' გვაქვს შეკითხვები, პროკურატურასთანაც, პარლამენტთანაც.

მთავარი დღეს არის, ქალბატონ სალომეს მხარი დავუჭიროთ. იგი ყოველთვის ჩვენთან იყო, 7 ნოემბერს, 26 მაისს, როცა გვცემდნენ, გვეფარებოდა, ვაჟკაცი ქალია! როცა გიორგი ვაშაძე კგბ-ში მუშაობდა, სალომე საფრანგეთის ელჩი იყო ამერიკაში, გაეროში და ის არის თურმე მოღალატე!''

ყოფილი პარლამენტარი, პოლიტიკოსი ხათუნა ხოფერიაც წარსდგა სამტრედიელების წინაშე, დაგმო ''ნაციონალური მოძრაობა'' და ყველას სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. 2007-08-10 წლებში სალომე ჩემი თანამებრძოლი იყოო, თქვა. ხაზი გაუსვა იმ ადამიანების დამსახურებას, ვინც სახლხო მოძრაობაში მასთან ერთად იმყოფებიან, დათო მაღრაძის, ირაკლი ბათიაშვილის, გოგა ხაინდრავასა და სხვების. აღნიშნა, რომ ეს ადამიანები მოდიან და თავის ამბებს გვიყვებიან, ღირსების, თავისუფლების, სამართლიანობის გზას უჩვენებენ ხალხს. ბოლოს მან სამტრედიას, როგორც თავის დედულეთს, მიმართა და იმედი დაიტოვა, რომ არჩევანში არ შეცდება.

გიორგი ზერეკიძემ 2009 წელს თავის ოჯახში დატრიალებული ტრაგედია გაიხსენა, როგორ დაიჭირეს 14 წლის ბიჭი და ციხეში 10 წლით ჩასვეს. როგორ მოუკლეს მამა და დედას ნარკოტიკი ჩაუდეს. ''სწორი არჩევანი გავაკეთოთ და არა ვუთხრათ ძალადობას!'' _ მიმართა მან დარბაზში შეკრებილებს.

ემოციური იყო მოძრაობის ახალგაზრდა წევრის, ლევან ჩიტაძის, გამოსვლაც. ძალადობის გამოყენებით შიშისა და ტერორის დათესვა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად _ ასე შეაფასა მან ''ნაციონალური მოძრაობის'' მმართველობის პერიოდი. ''დავიცვათ თავისუფლება ბოლომდე და თავისუფლება მოიგებს არჩევნებს''. _ დაასკვნა მან.

თანამოაზრეებს სიტყვით მიმართა ''ქართული ოცნების'' ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სამტრედიაში, თამაზ შანიძემ: ''რომ ვამბობ, ბევრი რამ არ მომწონს ახლანდელი ხელისუფლების, ამის თქმაც კი ნიშანი არის, რომ ჩვენთან დემოკრატია არსებობს! ამ რაიონის შვილი ვარ, ისეთივე პრობლემები მაქვს, როგორიც ჩემს ხალხს და რაიონს აქვს. ამ მდგომარეობას ყოველთვის შეიძლება ეშველოს, მაგრამ თუ ერთხელ სააკაშვილი მობრუნდა, მისი აქედან გაგდება წარმოუდგენელი იქნება, ყველა უბედურებას თავიდან დაატრიალებს, ქვეყანას 20-30 წლით უკან დახევს. ჩვენ გვაქვს არჩევანი, მივცეთ ბიძინა ივანიშვილს კიდევ ერთი წელი, ან ყველა დავბრუნდეთ ამ უბედურებაში. ერთი წლის შემდეგ თუ ისე არ იქნა ყველაფერი, როგორც გვპირდება, პასუხი მოვთხოვოთ ხელისუფლებას. საპრეზიდენტო არჩევნებზე დღეს ღირსების საქმე წყდება''.

ის გრიგოლ ვაშაძის მიერ ჩამოყვანილ სკლიაროვის ჯგუფსაც შეეხო და იმასაც გაუსვა ხაზი, როგორ ეშინია რუსეთს ''ნატოში'' ჩვენი შესვლის. იმიტომ, რომ როგორც არასდროს, დღეს ისე ახლოა ცივილიზებულ სამყაროსთან საქართველო.

მოწოდებითა და ემოციურად წაკითხული ლექსით საქართველოს სიყვარულის დამტკიცებას შეეცადა პავლე კაპანაძე.

გოგა ხაინდრავამ ინფორმაცია მიაწოდა ამომრჩეველს 50 კაციანი ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატს არჩევნების დღეს დაიცავს.

დასასრულ, დაჩი ცაგურიამ მოუწოდა სამტრედიელებს, 4 საათისთვის დედის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილიყვნენ და ქუთაისში ჩასულიყვნენ სახალხო მოძრაობის წევრებთან ერთად, რათა იქაც დაეფიქსირებიათ თავიანთი პოზიცია.







## რიგგარეშე სხდომა

ლევან გაბეჩავა

რიგიანი ვნებათაღელვით მიმდინარეობდა.

დღეს მამაკაცთა საერთაშორისო დღეა, გილოცავთ, ძვირფასო მამაკაცებო, ასე დაიწყო 19 ნოემბერს რიგგარეშე სხდომა საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ.

დღის წესრიგში არსებულ საკითხთა შესახებ საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებმა, ქალბატონმა მანანა სირბილაძემ და ბატონმა შალვა არზუმანიანმა მოახსენეს.

ვნებათაღელვა იმ საკითხის განხილვისას დაიწყო, ბატონი აკაკი მინაშვილის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობას რომ შეეხებოდა.



ოპოზიცია ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან'' აღნიშნავდა, რომ მინაშვილი დღევანდელი სხდომის შესახებ ინფორმირებული არ იყო. რაზედაც პოზიციამ საწინააღმდეგო უპასუხა. ასე, თუ ისე ბატონი მინაშვილი სხდომაზე ნამდვილად არ იმყოფებოდა, ვსარგებლობთ შემთხვევით და ვულოცავთ ბატონ აკაკის საკრებულოს წევრის მაღალ სტატუსს და ამომრჩევლის ნდობას.

პოზიცია-ოპოზიციას შორის სიტყვიერი დაპირისპირება წინასაარჩევნო კამპანიის დარღვევებით წარმოებას უკავშირდებოდა.

რწმუნებულები (იგულისხმებოდა მერის წარმომადგენლები სოფლებში) ჩაფრებად არიან გადაქცეულნი, ისინი აშინებენ ხალხს...

ოპოზიციის (''ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'') ამ განცხადებას პოზიცია შემდეგი სიტყვებით პასუხობდა გვანახეთ, მოგვიყვანეთ, თუნდაც, ერთი შეშინებული...

თავმჯდომარეს არაერთხელ მოუხდა შენიშვნის მიცემა მოპაექრეთათვის, თუმცა, სხდომის ძირითადი ნაწილი სწორედ კამათს ''დაეთმო''.

საკრებულომ გადაწყვიტა: ცნობილ იქნას მაჟორიტარული წესით საარჩევნო ბლოკი ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მაჟორიტარული სიით არჩეული აკაკი მინაშვილის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

განხილულ საკითხთა ირგვლივ შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# ძვირფასო სამტრედიელებო, საოქტომბრო “გამოცდებში” არც ამჯერად ჩავჭრილვართ!.. მაგრამ მეორე ტურში მაინც ნუ შევეცდებით გამხმარი ხის ხელახლა გამოცოცხლება-განედლებას...

პატივცემულო მკითხველო! წინამდებარე წერილი-მოწოდების “ორსაფეხურიანი” სათაურის განსამარტავად უნდა მოგახსენოთ, რომ 27 ოქტომბრის გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” გამოქვეყნებული წერილი-მოწოდება, “სამტრედელებო, საოქტომბრო “გამოცდებში” არასოდეს ჩავჭრილვართ!..” რომელშიც, მართალია, სქემატურად, მაგრამ ვფიქრობ, რომ სავსებით სწორად, ობიექტურად და ჩემი აზრით, გასაგებადაც დავასაბუთე, თუ რატომ და რისთვის უნდა დაგვეჭირა მხარი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილისთვის.

ზემოხსენებული პუბლიკაცია 12 ნოემბერს მშობლიურ “სამტრედიის მაცნეში” გადმოიბეჭდა და ამისთვის დიდი მადლობა რედაქციას.

ჰოდა, იმის დიდი იმედითა და სურვილით, რომ სამტრედიელთა უმრავლესობა, ისე როგორც ქუთაისის, ზუგდიდის, ბათუმის, გორის და სხვა დიდი ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობასთან ერთად, პირველი ტურის საპირისპიროდ მოვიქცევით. ვინაიდან ქალბატონი სალომე ხომ ჩვენი დიდი თანამემამულის, სულგანათლებული დიდი ნიკო ნიკოლაძის ბადიშიშვილი (შვილის შვილიშვილია), ის ხომ საქართველოს პრეზიდენტობისათვის მებრძოლ ვაჟკაცებს შორის ერთადერთი ქალბატონი ბრძანდება, რომელმაც კახელ-მეგრელ-იმერელისთვის დამახასიათებელი ეროვნული მუხტით გაალმასებულმა, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ საერთო ჯამში, პირველი ტურში მცირეოდენი უპირატესობა მოიპოვა. არადა, ერთობ არასასიამოვნო აღსანიშნავია, მაგრამ ფაქტია, რომ ქალბატონი სალომეს ამ მოკრძალებულ წარმატებაში იოტისოდენა წვლილი აღარ მიგვიძღვის სამტრედიელებს. პირიქით, მან ჩვენს რაიონში თავის კოლეგა კონკურენტთან 827 ხმით წააგო. მაშინ, როდესაც მისი დიდი პაპა, “მართალია, სამტრედიაში არ დაბადებულა, თუმცა, სამტრედიაში სოფელ დიდ ჯიხაიშში, დედულეთში _ ლორთქიფანიძეთა მამულში გაატარა მან ცხოვრების დიდი და ბოლო წლები. მხოლოდ ერთ წინადადებას დავამატებ. ყველა სამტრედიელისთვის თავმოსაწონებელი და (სხვათა შორის, არა მარტო ჩვენთვის!) მისი სახლ-კარი და არაჩვეულებრივი სილამაზის ეზო-გარემო, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის სტუმარს რომ ენახვება, სწორედ ისეთია. “არაფერს ვამბობთ იმ კოლოსარულ ღვაწლზე ამ სოფლის დაწინაურებისთვის რომ გააკეთა მან. (ლევან გაბეჩავა, “სამტრედიის მაცნე” 20.09.18).

კიდევ კარგი რომ სოფელ დიდი ჯიხაიშის გონიერმა მოსახლეობამ მოგვწმინდა ნამუსი და მთლად არ გამოვიჯაყეთ მთელ დუნიაზე ზემოთ დასახელებულ ციფრთან დაკავშირებით. გონებაში ამომიტივტივდა და, უნდა ვთქვა, რომ ქართული ტრადიციული პოლიტიკური კულტურის საგანძურში მოგვეპოვება ასეთი პოლიტიკური მარადმწვანე ფორმულირება: საარჩევნო ხმები კი არ უნდა ითვლებოდეს, არამედ უნდა იწონებოდესო!

შეიძლება ვინმე “მიხვედრილმა” იქედნურად და ირონიულად ჩაიღიმილოს, მაგ შენი კომენტარის შინაარს ძაან ჩაწვდება ფრანგულ ენაზე განათლებული, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატიო, შეიძლება ამაში მართალიც იყოს, მაგრამ ეს კი სრულიად არ შეუშლის ხელს ამჟამად არსებულ თუ შექმნილ ქართულ სამართლებრივ სივრციდან გაუსვლელად, ყველაზე კარგად და მორგებულად რომ შეასრულოს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობა. ეს როგორრო? მესმის ლატენტური (იდუმალი) ოპონენტის ხმა. ჰოდა, ვპასუხობ ამის დასტურად იხილეთ გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა” (27. X. გვ.4. 2018.) ან გაზეთი “სამტრედიის მაცნე” (12. X. გვ. 5. 2018.).

ღმერთმანი, ძალიან, ძალიან არ მსიამოვნებს, მაგრამ ფაქტია და არ აღვნიშნო, არ შემიძლია. პირველი ის, რომ იმ ავადსახსენებელი კომუნისტების დროს კომპიუტერი რომ არ იყო და ჩვეულებრივი, ხელით საბეჭდი მანქანით ასეთი რამის დაბეჭდვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. (ჩემი გამოუქვეყნებელი წერილიდან მომყავს ციტატა: “კაცის პირველი შემამკობელი თვისებაა რაინდული მოწიწება ქალისადმი და, ჩვენდა საამაყოდ, ქართველების ეს თვისება არავის გაუხდია საეჭვოდ და არც შეიძლება საეჭვო იყო ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში წმინდა ნინოს მოქცეულ თამარის და ქეთევან დედოფლის საქართველოში...”).

ჰოდა, პირველად ვირჩევთ პრეზიდენტად ქალბატონს _ სალომე ზურაბიშვილს!

და ის, რომ ნამდვილად იმსახურებს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იერარქიული კიბის უმაღლეს საფეხურზე თუ პოლიტიკურ პედესტალზე დგომას. და თუ რატომ მაინცდამაინც ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი. და ამისთვის ასე მონდომებულად რატომ რისთვის ირჯება თქვენი მონა-მორჩილი ამ სტრიქონების ავტორი? ამისთვის, რა თქმა უნდა, ჩემი პირადი “მერკანტილური” მიზან-სურვილი და ამბიციაც გამაჩნია, ის მამოძრავებს. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე, ქრისტეს მიერ ძმანო და დანო, სამტრედიელო ამომრჩევლებო, ჩვენი არჩეული ხელისუფლების მიმართ, ძლიერ და ნაკლებად განაწყენებულნო, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი, როგორც ბიზნესშია, “კლიენტ ვსეგდა პრავ”, ასევე, ამომრჩევლებიც ყოველთვის მართლები ვართ. იმიტომ, რომ უჭირს გლეხს, უჭირს მუშას და ინტელიგენციას, რა თქმა უნდა, გაჭირვება ჩვენთვის არახალია, მთავარი, როგორც აღმოჩნდა მოუნელებელ-გაუნელებელი ტკივილის მიზეზები, შეიძლება ითქვას, რომ ძირის ძირამდე გააშიშვლა 28 ოქტომბერმა. რამაც “ოცნების” ხელისუფლება, ლაჟვარდოვანი ცის კიდურიდან ამ უსწორმასწორო, უსამართლო დედამიწაზე კვლავ დააბრუნა და არა “დაანარცხა”. ჩვენთვის სავალალოდ არც ეს უკანასკნელია შორზე შორი ამბავი.

ახლა ზედმეტი რევერანსების დრო ნამდვილად არაა და, რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსაო. ჰოდა, ოცნების ხელისუფლებამ უკვე აღიარა დაშვებული შეცოდმები და მათი ერთ წელიწადში გამოსწორების პირობა დადო. ამაზე პასუხისმგებლობა თავად ბიძინა ივანიშვილმა აიღო.

დავწერე ეს ბოლო წინადადება და უცებ გონებაში ამომიტივტივდა ბატონი ბიძინას მეუღლე, ქალბატონი ეკა ხვედელიძე. იცით ეს ქალბატონიც ჩვენი “ზემლიაკია”. 2012 წლის ისტორიული ამბების წინ გაზ. “საქართველოს რესპუბლიკაში” წავიკითხე გაზეთის სახელი ნამდვილად არ მეშლება, ტექსტის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ მთავარი აზრი ეს იყო: ამ მოვლენების ხელმძღვანელ ჩემს მეუღლეს რაიმე რომ დაემართოს, ოჯახი უნდა გავუძლვეთ და მისთვის ვაქტიურობ, საქმის კურსში რომ ვიყო და საჭიროების შემთხვევაში მეუღლეს რომ ჩავენაცვლოვო.

ჰოდა, როგორც ყოველთვის, ჩვენმა მშველელმა და დამრიგებელმა, შოთა რუსთაველმა, დაგვმოძღვრა, “ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი”.

პატივცემულო მკითხველო, ჩვენ ხომ ჩვენთვის მშობლიურ, პატარა და კოხტა სამტრედიაზე და ჩვენთვის ძვირფას საყვარელ სამტრედიელებზე ვსაუბრობთ. ერთმანეთის კარგიც რომ ვიცით და ცუდიც. საზოგადოების მახვილ თვალს ვერაფერს რომ ვერ გამოვაპარებთ, ეს ბავშვებმაც კი იცის ჩვენში. მით უმეტეს, ჩვენივე არჩეული მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, პატივცემული ბატონების: ვალერიანე ფოცხვერიას და ნუგზარ ჯამბურიას, რომელთა ქმედება თუ უმოქმედობა, მიკროსკოპული სიზუსტით ფიქსირდება საზოგადოების თვალში. რატომღაც ასე მგონია და ვფიქრობ, რომ არ მეშლება, მთელი სამტრედიის მოსახლეობა, ამ ორ პატიოსან და წესიერ ინტელიგენტ ადამიანებს, კარგი ოჯახიშვილობას და ქართული ზრდილობის მატარებელ პიროვნებებად თვლიან. რაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ ჩანს ამ მეტად დინამიურად მიმდინარე ოქტომბერ-ნოემბერში. ამიტომ იმსახურებენ თანადგომას და მხარდაჭერას და იმედია, კიდეც მიიღებენ.

ერთი ვითომ კომუნისტი, სინამდვილეში აგენტი ლევ ბრონშტეინი, კაპიტალისტის შვილი ვლადიმერ ილიჩი, იუდუშკას, ანუ გამყიდველს, რომ უწოდებდა, სხვათა შორის ამაში ცამდე მართალი იყო.

ჰოდა, იმ იუდუშკა ლევზე ძლიერი პიროვნება არ არისო, რომ თქვა, არაობიექტური და არასერიოზული უნდა იყოს ადამიანი. რამეთუ ის საკმარისზე მტკიცე კაცი იყო. მაგრამ ერთ ქართველ უბრალო გორელი ხელოსანი კაცის შვილს ზემოდან რომ უყურებდა, იმიტომ ეტირა დედა პირდაპირი მნიშვნელობით და გაგებით. დედანატირები მაქსიმალისტი იმ კაცის სიტყვებია _ “ან ყველაფერი ან არაფერი!”

ერთი კარგი სამტრედიელი ღირსეული ვაჟკაცი კაცის, ცხონებული იური გვაზავას ნამღერი მინდა, რომ შევახსენო მის დამფასებელ სამტრედიელებს: “ამისთანა არ მოხდება ჩვენთან სამტრედიაში!” ჰოდა, რაიმე მნიშვნელოვანი საქმიდან ცუდი შედეგი რომ არ მიგვეღო, თუ დამდგარიყო, მისი სასიმღერო ტექსტის ამ შესანიშნავ სიტყვებს დღემდე ვიხსენებთ სამტრედიელები და მომავალშიც გაიხსენებენ! დიდი იმედია, რაც 28 ოქტომბერს ვნახეთ, “იმისთანა” არ მოხდება, ჩვენთან სამტრედიაში!

საქართველოს ექს-პრემიერის ბატონ ბიძინა ივანიშვილის და მრავალვ ნებაგამოვლილი ბერი დავითის, ერისკაცობაში ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის ყველასთვის ცნობილი სიტყვები უნდა მოვიშველიო და დავიმოწმო 2016 წელს გამოცემული ჩემი წიგნიდან. “25 წელი მოჯადოებულ წრეზე დავდივართ და ეს წრე 2012 წლის არჩევნებზე გაიხსნა”, მეორე _ მოკლე და ყოვლისმომცველი, “ფრთხილად, ქართველებო!” ჰოდა, ღმერთმა არა ქნას, ეს მანკიერი წრე ოდესმე კვლავ შეიკრას თუ დამრგვალდეს და ამ საფრთხის წინაშე უეჭველად დავდგებით, თუ გონიერებას არ გამოვიჩენთ, რაც გვინახავს, ის ჟურნალია, კინო მერე იქნება.

“გირჩებმა” აქამდე ჩვენთვის უნახავი და აბსოლუტურად მიუღებელი “ბრძოლის” ახალი სახეობა _ შარვალჩახდილი დემოკრატია შიშველი უკანალით... ხომ მოგვასწრეს. სხვები არა? ამათზე ნაკლები “ნოვატორები” რითი არიან! ამათ რომ ვერ მოუჯოკრონ თუ გადაუჯოკრონ.

კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი პერიოდი, როცა პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ყველა ცხოვრებისეულ ელემენტთა ერთობლიობას მოიცავს და ირეკლავს, გაწონასწორებული და ნაკლებსაფიქრალი ყოფილიყო. ახლაც ამ ყოფაში ვართ და ჩვენი გადასაწყვეტია საით და ვისთან ერთად? ვისი თანადგომითა და მხარდაჭერით უნდა გააგრძელოს გზა ქართველმა ერმა სამომავლო პერსპექტივის ძიებისას? _ აი, უმთავრესი პრობლემა, რომელსაც საქართველოს შინ და გარეთ მყოფმა ქართველებმა უნდა გავცეთ პასუხი.

და, როგორც იქნა, ერთად მოვედით მთავარ სათქმელთან. რასაც, რაც შეიძლება, მოკლედ მოგახსენებთ. პრესაში წავიკითხე, რომ 11 ოქტომბერს, ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ენათმეცნიერების ინსტიტუტში იმართებოდა შეკრება თემაზე: “გადავარჩინოთ იაკობ გოგებაშვილის “დედაენა”; დავუბრუნოთ იგი ქართულ სკოლას!” იმ დღეს არ ვმუშაობდი, ჩავედი. სხდომას უძღვებოდა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე, დეკანოზი კონსტანტინე (გიორგაძე) და თანათავმჯდომარე პროფ. გიორგი გოგოლაშვილი. ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ ამ უკანასკნელმა დამსწრე აუდიტორიას წარუდგინა მათივე ავტორობით შედგენილი და გამოცემული, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, ყველა ქართველისთვის ნამდვილად სამაგიდო წიგნი. “დედაენა” კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი”. 2018 წ. რედაქტორი: აკად. ავთანდილ არაბული. წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: “ამ წიგნიდან თქვენ მიიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს “დედაენა” საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი)... რატომ უნდა ვიამაყოთ ამ წიგნითა და მისი ავტორით! და სხვა....

წიგნის ერთი ცალი საჩუქრად ჩამოვიტანე და ალბათ, ჩვენი მუნიციპალიტეტის, ბიბლიოთეკის საგამოფენო სტენდზე მიუჩენენ საკადრის ადგილს რაიონის მასწავლებლებს თვალში რომ მოხვდეს. სხვებსაც არ აწყენს... და იმედია, ჩემს მოკრძალებულ 2016 წელს წიგნად გამოცემულ ნაშრომსაც დაუდებენ გვერდით. რამეთუ, იმ სხდომაზე წაკითხულ ამ წიგნის 14 ხაზს ფრიად და ერთობ მოწონებით შეხვდა როგორც პრეზიდიუმი ისე დამსწრე საზოგადოებაც. სხვათა შორის, პრეზიდიუმისაგან დიდი მადლობა დავიმსახურე იქ მოსმენილი 14 ხაზისთვის და, რა თქმა უნდა, დამსწრე საზოგადოებიდანაც...

ახლა მთავარზე და გადამწყვეტზე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალოსანიცაა და “სასკოლო პროგრამაში გოგებაშვილის “დედაენის” შეტანას აუცილებლობად მიიჩნევს”.

საქართველოს პრეზიდენტობის მსურველი 25 პრეტენდენტიდან, მხოლოდ დამოუკიდებელმა კანდიდატმა, რომელმაც ღიად დაუჭირა მხარი და მომხრეა, რომ გოგებაშვილის “დედაენა” სკოლაში დაბრუნდეს და განაცხადა: “აუცილებელია, რომ ჩავატაროთ განათლების რეფორმა, მივხედოთ ახალგაზრდებს და ამ ქვეყნის მომავალ კულტურას და განათლებას. პირველ რიგში, გოგებაშვილის “დედაენა” უნდა დავაბრუნოთ სკოლებში. ამით უნდა დავიწყოთ იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი ყოველნაირი კულტურის საწყისი”. _ განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ჩემო მკითხველო, მოდით აქ ზემოთ დაპირებული ის 14 ხაზი ერთად ჩავიკითხოთ:

“სულმნათი ილიას შეფასებით ხომ: “საერო სკოლა ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველი ფეხი უნდა აიდგას, ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ხალხს საზრდელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედგამოჭრილია უმეტნაკლებოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებად, მის სულიერ და ხორციელს მოთხოვნილებად”.

პატივცემულო, ყოველივე ზემოთ მოხმობილი გახმიანებული ფაქტების შემდეგ, ჩვენს სკოლებს “საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა” რომ უნდა ერქვას, უნდა ამას ახლა კომენტარი?! ან კიდევ სხვა რაიმე საბუთის მოძიებისთვის ჯახირი და თავისტეხა?

მოკლედ ასეა და დევებადაც რომ ვიქცეთ, წვეთს ვერ გამოადენ, წმინდა ილია მართალზე უფრო კარგ სანდო და დასაყრდენ ნათლიას ვერსად ვნახავთ ამ ჩვენს კუთვნილ ცისქვეშეთში და, გნებავთ, მის მიღმაც...”

ზემოთ მოყვანილი ამონარიდის წაკითხვის შემდეგ, პატივცემული მკითხველისადმი და პირველ რიგში, ჩვენი რაიონის მასწავლებლებისადმი, ჩემი რჩევათხოვნა-სურვილი იქნება “დედაენა” და ჩემი წიგნი, “ცოტა რამ დღევანდელობასა და ენციკლოპედიური მასშტაბის ორ წიგნზე, რომლის გაგრძელებაც მალე იხილავს მზის სინათლეს. ერთად განიხილოთ, ვფიქრობ, სასარგებლო იქნებოდა და წინასწარ დაიმედებულს, ასე შემიძლია ვთქვა. ეროვნული საქმის კეთებაში ჭეშმარიტად გულქართული მრჩეველი იქნება...

ამდენად მივეცი ჩემს თავს უფლება, რომ ჩემს კოლეგებს: მუშებსა და ინტელიგენტებსაც მივმართო პირველად მთელი ჩემი ბიოგრაფიის “ავლადიდების” ჩამოთვლით და, იგივე მოწოდებით დავამთავრო, როგორც პირველი წერილის მოწოდება დავასრულე.

ჰოდა, ამ ყველაფერს ნათქვამ-უთქმელიდან და სტრიქონებს შუა თუ შორის ნაგულისხმევი აზრიდან გამომდინარე, მოკლედ მოვჭრი: ხმა მივცეთ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს. ამით მოიგებს საქართველო, ესე იგი, ჩვენ ყველანი!

**ისიდორე (მამული) ჯანელიძე**

***ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი. სამტრედიის სავაგონო დეპოს ზეინკალი, ფაზისის, ბიზნესისა და ქალდეას აკადემიების ნამდვილი წევრი.***

## საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტობრის არჩევნების მეორე ტურის პერიოდში გაზეთ “სამტრედიის მაცნე” იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და “საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტი გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეული სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

# სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი

## (შემოსავლები)

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | | 14,491.5 | 16,097.6 | 3,571.3 | 12,526.3 | 16,389.3 | 5,112.3 | 11,277.0 | 12,550.0 | 187.0 | 12,363.0 |
| შემოსავლები | 1 | 14,404.5 | 15,871.9 | 3,571.3 | 12,300.6 | 16,389.3 | 5,112.3 | 11,277.0 | 12,470.0 | 187.0 | 12,283.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 86.9 | 225.7 | 0.0 | 225.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| შემოსავლები | 1 | 14,404.5 | 15,871.9 | 3,571.3 | 12,300.6 | 16,389.3 | 5,112.3 | 11,277.0 | 12,470.0 | 187.0 | 12,283.0 |
| გადასახადები | 11 | 4,091.7 | 4,587.1 | 0.0 | 4,587.1 | 4,200.0 | 0.0 | 4,200.0 | 10,157.6 | 0.0 | 10,157.6 |
| დღგ | | | 0.0 | | | 0.0 | | | 7,007.6 | | 7,007.6 |
| საშემოსავლო გადასახადი | | 1,091.2 | 1,207.0 | | 1,207.0 | 1,100.0 | | 1,100.0 | 0.0 | | |
| ქონების გადასახადი | 113 | 3,000.5 | 3,380.1 | 0.0 | 3,380.1 | 3,100.0 | 0.0 | 3,100.0 | 3,150.0 | 0.0 | 3,150.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 1,771.3 | 1,880.8 | | 1,880.8 | 2,232.0 | | 2,232.0 | 2,232.0 | | 2,232.0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113112 | 44.0 | 252.0 | | 252.0 | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 14.8 | 18.7 | 0.0 | 18.7 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის | 1131131 | 0.0 | 1.2 | | 1.2 | 10.0 | | 10.0 | 10.0 | | 10.0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ | 1131132 | 14.8 | 17.5 | | 17.5 | 0.0 | | | 0.0 | | 0.0 |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 169.5 | 159.3 | 0.0 | 159.3 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 105.0 | 0.0 | 105.0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 113.6 | 122.3 | | 122.3 | 50.0 | | 50.0 | 75.0 | | 75.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131142 | 55.9 | 37.0 | | 37.0 | 5.0 | | 5.0 | 30.0 | | 30.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113115 | 1,000.9 | 1,069.3 | 0.0 | 1,069.3 | 803.0 | 0.0 | 803.0 | 803.0 | 0.0 | 803.0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131151 | 20.2 | 28.7 | | 28.7 | 3.0 | | 3.0 | 3.0 | | 3.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131152 | 980.7 | 1,040.6 | | 1,040.6 | 800.0 | | 800.0 | 800.0 | | 800.0 |
| გრანტები | 13 | 8,985.1 | 8,206.3 | 3,571.3 | 4,635.0 | 9,618.4 | 5,112.3 | 4,506.1 | 187.0 | 187.0 | 0.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 8,985.1 | 8,206.3 | 3,571.3 | 4,635.0 | 9,618.4 | 5,112.3 | 4,506.1 | 187.0 | 187.0 | 0.0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 1311 | 5,582.0 | 4,690.1 | 184.0 | 4,506.1 | 4,693.1 | 187.0 | 4,506.1 | 187.0 | 187.0 | 0.0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 5,399.6 | 4,506.1 | | 4,506.1 | 4,506.1 | | 4,506.1 | 0.0 | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების | | 182.4 | 184.0 | 184.0 | 0.0 | 187.0 | 187.0 | 0.0 | 187.0 | 187.0 | 0.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1312 | 3,403.1 | 3,516.2 | 3,387.3 | 128.9 | 4,925.3 | 4,925.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | | 2,684.2 | 3,387.3 | 3,387.3 | | 4,925.3 | 4,925.3 | | 0.0 | 0.0 | |
| სხვა | | 0.0 | 128.9 | 0.0 | 128.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | |
| სხვა შემოსავლები | 14 | 1,327.7 | 3,078.5 | 0.0 | 3,078.5 | 2,570.9 | 0.0 | 2,570.9 | 2,125.4 | 0.0 | 2,125.4 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 426.5 | 567.8 | 0.0 | 567.8 | 486.9 | 0.0 | 486.9 | 491.9 | 0.0 | 491.9 |
| პროცენტები | 1411 | 93.3 | 238.3 | | 238.3 | 200.0 | | 200.0 | 200.0 | | 200.0 |
| რენტა | 1415 | 333.2 | 329.5 | 0.0 | 329.5 | 286.9 | 0.0 | 286.9 | 291.9 | 0.0 | 291.9 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | 310.1 | 286.4 | | 286.4 | 276.9 | | 276.9 | 276.9 | | 276.9 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 23.1 | 43.1 | | 43.1 | 10.0 | | 10.0 | 15.0 | | 15.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 344.3 | 2,018.1 | 0.0 | 2,018.1 | 1,634.0 | 0.0 | 1,634.0 | 1,161.0 | 0.0 | 1,161.0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 324.3 | 1,994.5 | 0.0 | 1,994.5 | 1,622.0 | 0.0 | 1,622.0 | 1,141.0 | 0.0 | 1,141.0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 35.0 | 11.3 | | 11.3 | 5.0 | | 5.0 | 10.0 | | 10.0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების | 142212 | 0.2 | 0.4 | | 0.4 | 0.0 | | 0.0 | 1.0 | | 1.0 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 142213 | 145.6 | 1,839.7 | | 1,839.7 | 1,500.0 | | 1,500.0 | 1,000.0 | | 1,000.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | 143.5 | 143.1 | | 143.1 | 117.0 | | 117.0 | 125.0 | | 125.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 142299 | 0.0 | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | | 5.0 | | 5.0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 1423 | 20.0 | 23.6 | 0.0 | 23.6 | 12.0 | 0.0 | 12.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| შემოსავლები მომსახურების | 14232 | 20.0 | 23.6 | | 23.6 | 12.0 | | 12.0 | 20.0 | | 20.0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 545.6 | 489.9 | | 489.9 | 450.0 | | 450.0 | 472.5 | | 472.5 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 145 | 11.3 | 2.7 | | 2.7 | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 86.9 | 225.7 | 0.0 | 225.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| ძირითადი აქტივები | 311 | 36.4 | 21.6 | | 21.6 | 0.0 | | 0.0 | 80.0 | | 80.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 314 | 50.5 | 204.1 | 0.0 | 204.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| მიწა | 3141 | 50.5 | 204.1 | | 204.1 | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | 0.0 |

# სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი (ხარჯები)

| ორგ. კოდი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის ფაქტი | | | 2018 წლის გეგმა | | | 2019 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| | სამტრედიის მუნიციპალიტეტი | 13,722.9 | 14,459.1 | 2,913.9 | 11,545.2 | 19,592.1 | 5,940.4 | 13,651.7 | 12,550.0 | 187.0 | 12,363.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 1,203.0 | 1,143.0 | 9.0 | 1,134.0 | 1,153.0 | 9.0 | 1,144.0 | 1,152.0 | 9.0 | 1,143.0 |
| | ხარჯები | 9,926.9 | 9,302.2 | 278.6 | 9,023.6 | 10,605.9 | 362.3 | 10,243.6 | 10,963.9 | 187.0 | 10,776.9 |
| | შრომის ანაზღაურება | 2,117.4 | 1,823.0 | 80.0 | 1,743.0 | 2,251.2 | 84.4 | 2,166.8 | 2,461.8 | 84.4 | 2,377.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,686.5 | 5,134.0 | 2,635.3 | 2,498.7 | 8,986.2 | 5,578.1 | 3,408.1 | 1,586.1 | 0.0 | 1,586.1 |
| | ვალდებულებების კლება | 109.5 | 22.9 | 0.0 | 22.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2,636.1 | 2,446.7 | 0.0 | 2,446.7 | 3,230.0 | 0.0 | 3,230.0 | 3,732.3 | 0.0 | 3,732.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 163.0 | 162.0 | 0.0 | 162.0 | 168.0 | 0.0 | 168.0 | 168.0 | 0.0 | 168.0 |
| | ხარჯები | 2,581.0 | 2,389.9 | 0.0 | 2,389.9 | 2,993.6 | 0.0 | 2,993.6 | 3,333.9 | 0.0 | 3,333.9 |
| | შრომის ანაზღაურება | 2,026.4 | 1,743.0 | 0.0 | 1,743.0 | 2,166.8 | 0.0 | 2,166.8 | 2,340.8 | 0.0 | 2,340.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 33.4 | 40.1 | 0.0 | 40.1 | 236.4 | 0.0 | 236.4 | 398.4 | 0.0 | 398.4 |
| | ვალდებულებების კლება | 21.7 | 16.7 | 0.0 | 16.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 01 | სამტრედიის საკრებულო | 654.8 | 617.1 | 0.0 | 617.1 | 761.6 | 0.0 | 761.6 | 837.0 | 0.0 | 837.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 26.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 | 26.0 | | 26.0 | 26.0 | 0.0 | 26.0 |
| | ხარჯები | 649.9 | 611.2 | 0.0 | 611.2 | 752.0 | 0.0 | 752.0 | 823.8 | 0.0 | 823.8 |

| ორგ. კოდი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი | 2016 წლის ფაქტი | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | 534.3 | 482.1 | 0.0 | 482.1 | 566.8 | 0.0 | 566.8 | 621.4 | 0.0 | 621.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 9.6 | 0.0 | 9.6 | 13.2 | 0.0 | 13.2 |
| | ვალდებულებების კლება | 2.6 | 5.9 | 0.0 | 5.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 02 | სამტრედიის მერია | 1,981.3 | 1,829.6 | 0.0 | 1,829.6 | 2,360.3 | 0.0 | 2,360.3 | 2,649.1 | 0.0 | 2,649.1 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 137.0 | 137.0 | 0.0 | 137.0 | 142.0 | | 142.0 | 142.0 | | 142.0 |
| | ხარჯები | 1,931.1 | 1,778.7 | 0.0 | 1,778.7 | 2,133.5 | 0.0 | 2,133.5 | 2,263.9 | 0.0 | 2,263.9 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,492.1 | 1,260.9 | 0.0 | 1,260.9 | 1,600.0 | 0.0 | 1,600.0 | 1,719.4 | 0.0 | 1,719.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 31.1 | 40.1 | 0.0 | 40.1 | 226.8 | 0.0 | 226.8 | 385.2 | 0.0 | 385.2 |
| | ვალდებულებების კლება | 19.1 | 10.8 | 0.0 | 10.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 24.2 | 0.0 | 24.2 | 160.0 | 0.0 | 160.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 24.2 | 0.0 | 24.2 | 160.0 | 0.0 | 160.0 |
| 01 05 | მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 67.9 | 0.0 | 67.9 | 63.0 | 0.0 | 63.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 67.9 | 0.0 | 67.9 | 63.0 | 0.0 | 63.0 |
| 01 06 | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 16.0 | 0.0 | 16.0 | 23.2 | 0.0 | 23.2 |

| ორგ. კოდი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი | 2016 წლის ფაქტი | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 16.0 | 0.0 | 16.0 | 23.2 | 0.0 | 23.2 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 110.1 | 105.1 | 94.4 | 10.7 | 114.8 | 96.3 | 18.5 | 156.7 | 96.3 | 60.4 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 10.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 109.7 | 105.1 | 94.4 | 10.7 | 112.8 | 96.3 | 16.5 | 154.7 | 96.3 | 58.4 |
| | შრომის ანაზღაურება | 91.0 | 80.0 | 80.0 | 0.0 | 84.4 | 84.4 | 0.0 | 121.0 | 84.4 | 36.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 02 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 110.1 | 105.1 | 94.4 | 10.7 | 114.8 | 96.3 | 18.5 | 156.7 | 96.3 | 60.4 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 10.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 109.7 | 105.1 | 94.4 | 10.7 | 112.8 | 96.3 | 16.5 | 154.7 | 96.3 | 58.4 |
| | შრომის ანაზღაურება | 91.0 | 80.0 | 80.0 | 0.0 | 84.4 | 84.4 | 0.0 | 121.0 | 84.4 | 36.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 5,350.9 | 6,639.0 | 2,711.9 | 3,927.1 | 9,949.4 | 5,621.4 | 4,328.0 | 2,989.7 | 0.0 | 2,989.7 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 115.0 | 116.0 | 0.0 | 116.0 | 122.0 | 0.0 | 122.0 | 122.0 | 0.0 | 122.0 |
| | ხარჯები | 1,628.2 | 1,919.5 | 94.7 | 1,824.8 | 2,199.8 | 169.3 | 2,030.5 | 2,100.5 | 0.0 | 2,100.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,639.4 | 4,716.0 | 2,617.2 | 2,098.8 | 7,740.0 | 5,452.1 | 2,287.9 | 874.5 | 0.0 | 874.5 |
| | ვალდებულებების კლება | 83.3 | 3.5 | 0.0 | 3.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 | გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება | 3,246.4 | 4,572.5 | 2,617.2 | 1,955.3 | 7,545.5 | 5,583.1 | 1,962.4 | 836.0 | 0.0 | 836.0 |

| ორგ. კოდი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი | 2016 წლის ფაქტი | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 89.8 | 79.6 | 0.0 | 79.6 | 207.6 | 133.2 | 74.4 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,097.3 | 4,492.9 | 2,617.2 | 1,875.7 | 7,337.9 | 5,449.9 | 1,888.0 | 636.0 | 0.0 | 636.0 |
| | ვალდებულებების კლება | 59.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
